განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მასობრივი კომუნიკაცია", ბაკალავრიატი

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 25 მარტი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21 ივნისი, 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მასობრივი კომუნიკაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 17.10.2011 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N118

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინა ცომაია ა(ა)იპ- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დანელია, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მჭედლიშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის- „მასობრივი კომუნიკაცია“ სამომავლო ფუნქციონირება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში, ჟურნალისტიკის მიმართულებაზე იგეგმება. ის შეიქმნა 1991 წლიდან 2011 წლამდე არსებული დამოუკიდებელი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა “ჟურნალისტიკის“, საფუძველზე. 2011 წლიდან პროგრამამ ცვლილებები განიცადა და არსებობა განაგრძო აკრედიტებული ინტეგრირებული პროგრამის სახით - „სოციალური მეცნიერებებში“, რომელშიც გაერთიანებული 3 მოდულიდან ერთ-ერთი იყო მასობრივი კომუნიკაცია. აღნიშნული პროგრამა დღემდე მოქმედებს და მას აკრედიტაციის ვადა 2021 წლის 31 დეკემბერს ამოეწურა. პროგრამა ამჟამად ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში.

წარმოდგენილმა საბაკალავრო პროგრამამ- „მასობრივი კომუნიკაცია“ ცვლილებები განიცადა „სოციალური მეცნიერებების“ პროგრამიდან გამოყოფის შემდეგ, რაც გამოიხატა მასში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებით. პროგრამის მესვეურთა თქმით, სტუდენტები ადგილობრივ მედიაორგანიზაციებში სტაჟირებას მომზადებულები შეხვდებიან და დასაწყისიდანვე შეძლებენ პრაქტიკის გავლას,

რაშიც მათ ხელს შეუწყობს პრაქტიკული საგნების პირველ სემესტრში სწავლება. ეს უკანასკნელი კი დამსაქმებელთა მოთხოვნებს შეესაბამება.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესამოწმებლად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიმართა ჰიბრიდულ რეჟიმში, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით 2022 წლის 25 მარტს. ექსპერტთა ჯგუფის ნაწილი სააკრედიტაციო პროგრამის განმახორციელებელ უნივერსიტეტში ვიზიტზე ფიზიკურად იმყოფებოდა. ნაწილმა მატერიალური ბაზის დათვალიერება ონლაინ რეჟიმში განახორციელა. ჯგუფის წევრებს უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ჰქონდათ ერთმანეთთან ონლაინ კავშირი და აზრების გაცვლის შესაძლებლობა. ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს სასწავლო ინფრასტრუქტურა, საჭირო აღჭურვილობა და ინვენტარი, რაც აუცილებელია საინფორმაციო–საკომუნიკაციო სწავლებისათვის. ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა ბიბლიოთეკა და მისი სამკითხველო დარბაზი, დაათვალიერა საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები.
ზუმის პლატფორმის გამოყენებით შედგა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და რეგიონში მოღვაწე დამსაქმებლებთან. ჯგუფი ონლაინ გაეცნო სტუდენტების მიერ შექმნილ მედიანამუშევრებს, შემთხვევითი შერჩევის წესით გადაამოწმა სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. გაეცნო უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლის ნანა შენგელიას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ საჩივარს, დასვა კითხვები ამ საჩივართან დაკავშირებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. იმსჯელა საჩივრის იმ ნაწილზე, რომელიც პროგრამის აკრედიტაციას შეეხებოდა. საჩივარში მითითებული საკითხები ძირითადად შემდეგი მიმართულებით ჩამოყალიბდა: პროგრამის სტრუქტურა, აკადემიური პერსონალის სიმცირე, სტუდენტთა დასწრების პრობლემურობა, ადმინისტრაციის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ერთპიროვნულად გადაწყვეტილებების მიღება. მოქალაქის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილია საჩივარი განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ „პროგრამა არ არის მომზადებული გუნდის მიერ და არ არის აკადემიური, პირიქით, შეთხზული, მიკიბულ-მოკიბული, ვიღაც ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტების მიერ ექსპერტების გულის მოსაგებად თუ

თვალის ასახვევად გადამუშავებული მასალაა“. საჩივარში ასევე აღნიშნული იყო, რომ „აკრედიტაციას ითხოვს ჟურნალისტიკის მიმართულება, რომლის დისკრიმინირებული პროფესორის სამსახურიდან რამდენიმე დღის წინ წავიდა“. სამუშაო ჯგუფმა დრო დაუთმო საჩივარში გაჟღერებულ საკითხებზე მსჯელობას და თავისი დასკვნები წარმოადგინა მოცემული დოკუმენტის შესაბამის სექციებსა და თავებში, სადაც ჯგუფი მიმოიხილავს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობას, რომელთა დაწვრილებით გაცნობაც ქვემოთ არის შესაძლებელი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ახალი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მასობრივი კომუნიკაცია მეტწილად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან, კერძოდ.

პროგრამის პირველი სტანდარტის - პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები 1.1 და 1.2. კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

პროგრამის მეორე სტანდარტის - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - 2.1. კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამავე სტანდარტის კომპონენტები 2.2 2.3 2.4 2.5 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

პროგრამის მესამე სტანდარტის - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - 3.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

პროგრამის მეოთხე სტანდარტის - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - 4.1, 4.2, და 4.4. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.3 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

პროგრამის მეხუთე სტანდარტის - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - 5.1 და 5.3 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების მეტი კონკრეტიზაცია და დავიწროვება და ფოკუსირება ისეთ ღირებულებებზე როგორიცაა დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა და ხელშეწყობა.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გამოყენებული ენა იყოს მარტივი. სათქმელი მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბდეს, ორაზროვანი ინტერპრეტაციის თავიდან ასარიდებლად.

- რეკომენდებულია, დამატებითი პროგრამის სტრუქტურაში განისაზღვროს 60 კრედიტიდან რამდენია სავალდებულო და რამდენი არჩევითი კრედიტი. დამატებით პროგრამაში არჩევითი საგნების ჩამონათვალის მითითება, განსხვავებით სავალდებულო სასწავლო კურსებისგან, სავალდებულო არ არის.
- რეკომენდებულია პროგრამაში კომუნიკაციის მიმართულების გაძლიერება და შესაბამისი სასწავლო კურსების დამატება (შესაძლებელია ეს იყოს მედიაკამპანიის გეგმის შექმნა ან მედიაკამპანიის წარმოება).

- რეკომენდებულია, საგანი მედიაეთიკა და სამართალი ისწავლებოდეს პირველივე სემესტრში, რათა სტუდენტს შეუქმნას მყარი საფუძველი მომდევნო კურსებისთვის მოცემული დავალებების მაღალი ეთიკური სტანდარტით შესასრულებლად, ჟურნალისტიკასა და კომუნიკაციას შორის მკაფიო საზღვრის უკეთ აღსაქმელად.

- რეკომენდებულია, რომ პრაქტიკის კურსში სტუდენტის შეფასება ემყარებოდეს არა მხოლოდ პრაქტიკის აღწერას, არამედ, პრაქტიკულად შესრულებულ სამუშაოს.

- რეკომენდებულია, რომ სტუდენტმა პრაქტიკა გაიაროს არა მხოლოდ მედია ორგანიზაციებში, არამედ, პიარის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებში ან სახელმწიფო/კერძო/არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტებში იმისათვის, რომ პროგრამის მიერ დასახული მიზნის შესაბამისად, სტუდენტს უკეთ განუვითარდეს შესაბამისი პრაქტიკული/ტრანსფერული უნარები კომუნიკაციის დარგში.

- რეკომენდებულია, პრაქტიკული კომპონენტის დახვეწა, რაც მოითხოვს სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების გადახედვას და მკაფიო კრიტერიუმების შემუშავებას.
- რეკომენდებულია, რომ კიდევ ერთხელ გადაიხედოს უნარებზე ორიენტირებული კურსების სწავლების მეთოდები, რომ პროგრამის ხელმძღვანელი დარწმუნდეს, რომ თითოეულ კურსში თავიდანვე მკაფიოდაა დაგეგმილი ის აქტივობები, რამაც სტუდენტი სასწავლო შედეგზე უნდა გაიყვანოს.
- რეკომენდებულია, შეფასების სისტემა უკეთ მოერგოს თითოეული კურსის სპეციფიკას, რათა სტუდენტს შეეძლოს მასალის სრულყოფილად ათვისება და იმ ცოდნისა თუ უნარების შეძენა, რაც გათვალისწინებულია კურსის ფარგლებში.
- რეკომენდებულია, რომ სასწავლო დაწესებულებაში ჩამოყალიბდეს, გაიწეროს და ამოქმედდეს აუდიო-ვიზუალური ტექნიკის მოხმარების წესები და რეგულაციები.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სამსახურებმა გააქტიურონ მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას.

- რეკომენდებულია შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევის დოკუმენტის უფრო მეტად დეტალიზაცია;

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დახვეწა და დაკონკრეტება;

- რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის უცხოურ (სურვილის შემთხვევაში ქართულ) საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ახალი პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში სპეციალური ღონისძიებები გატარდეს ინფორმაციის ადრესატამდე მისასვლელად. შესაძლოა, ეს იყოს მედიასაშუალებებში ან სოციალურ მედიაში რეკლამის განთავსება ან მიზანმიმართული მარკეტინგული/საინფორმაციო კამპანიის წარმოება ქუთაისში ახალი მასკომუნიკაციის პროგრამის ამოქმედების შესახებ.
- სასურველია, რომ პროგრამის მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული აკადემიურ პროცესში და ზოგადად, პროგრამის მიზნები უფრო მკაფიოდ ჰქონდეთ გააზრებული.
- სასურველია, რომ ჟურნალისტიკის და კომუნიკაციის მიმართულებები ერთმანეთისგან გამიჯნული იყოს ლექტორის დონეზე. ერთი და იგივე ლექტორი სასურველია, რომ არ ასწავლიდეს ორივე მიმართულებით.
- სასურველია პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის შემოტანა, მათ შორის მედიის კვლევის მეთოდების შესწავლისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ისევე როგორც მედიასფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.
- სასურველია, მოიძებნოს და პროგრამაში ჩართული იყოს ახალი გამოცდილებისა და ცოდნის ლექტორები რეგიონში, რომლებიც მოწვეული ლექტორების სახით შემოიტანენ ახალ ცოდნას სასწავლო პროგრამაში.

- სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შემოტანა და საბაკალავრო ნაშრომის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენება.
- სასურველია, კურიკულუმში ყურადღება მიექცეს სილბუსების თანმიმდევრულობას, ისე რომ ყოველი შემდგომი სილაბუსი ეფუძნებოდეს წინა სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებულ ცოდნას.
- სასურველია, ისწავლებოდეს პოლიტიკური პიარი ან შესავალი საჯარო კომუნიკაციაში, რათა გაძლიერდეს კომუნიკაციის მიმართულება და პროგრამა მკვეთრად არ იხრებოდეს ჟურნალისტიკის მიმართულებით. ასევე, სასურველია, ისწავლებოდეს ციფრული მედიის მარკეტინგი, რადგან დასაქმების ბაზარზე სოციალური მარკეტინგის უნარის მქონე ადამიანების მაღალი მოთხოვნაა.
- სასურველია, არსებული მატერიალური ბაზა უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული კურიკულუმში. სხვადასხვა ლაბორატორიებში მომუშავე პერსონალი ჩაერთოს სწავლების პროცესში და გათვითცნობიერდეს პროგრამის შინაარსსა და მიზნებში.
- სასურველია, უსდ-ს მიერ საკონსულტაციო მომსახურების აპარატის უკეთ გამართვა, კარიერული სამსახურის ფუნქციის შემთავსებელი სტრუქტურული ერთეულების როლის გაძლიერება და ამ ერთეულის ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლება სტუდენტებს შორის.
- სასურველია აკადემიური პერსონალის განვითარების ისეთი პოლიტიკის შემუშავება და არსებულის იმგვარად დახვეწა, რომელიც უფრო მეტად იქნება წახალისებაზე და მოტივაციაზე დამყარებული, ვიდრე შემოწმებასა და აღრიცხვაზე.
- სასურველია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.
- სასურველია მოხდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილი კომპონენტების ხარჯების გადახედვა და დაზუსტება (პრაქტიკის ხარჯი და სტიპენდია).
- სასურველია პროგრამის სამუშაო ჯგუფმა ინტენსიურად გამოიყენოს უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები, რათა უზრუნველყოს პროგრამის გარე ექსპერტიზაში დარგის უცხოელი სპეციალისტებისა და ექსპერტების ჩართვა. აღნიშნული პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება შეიმუშავოს ევროპულ ან/და საერთაშორისო საგანმანთლებლო და შრომის ბაზრის ული პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და კურს საქმეებას ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე, ისე სასწავლო და კვლევითი მობილობის შეუფერხებელ განხორციელებას.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
აღწერა და შეფასება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას პოტენციურად დიდი წვლილის შეტანა შეუძლია სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმას. ჩამოყალიბებული მიზნები ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მესვეურებს სჯერათ, რომ „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ, წვლილი უნდა შეიტანოს როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის მასშტაბით არსებული მედიაორგანიზაციების და სხვა ინსტიტუციების (არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის) განვითარებაში, კომუნიკაციის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადების კუთხით, იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ ამ მიზნის მისაღწევად პროგრამის აკადემიურმა ჯგუფმა გაითვალისწინა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი პროგრამის გამოცდილება. პროგრამის მესვეურები იმყოფებოდნენ სასწავლო ვიზიტით ამ დაწესებულებაში და პროგრამის განვითარების სურვილი ამ ვიზიტითაც იყო შთაგონებული. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს თანამედროვე მედიასტანდარტების შესაბამისი მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება: თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციური სივრცისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ფართო თეორიული ცოდნა. კომპლექსურ, არაპროგნოზირებად მასობრივ კომუნიკაციურ გარემოში ადაპტაციის, პრაქტიკული საქმიანობისა და წარმატებულად დასაქმებისთვის საჭირო დარგობრივი და ზოგადი ტრანსფერული უნარები.

ქვეყნის დემოკრატიულ პროცესებში, რეგიონის მედიალანდშაფტისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროს სხვადასხვა დარგის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი.
მიზნების ჩამოყალიბებისას გამოყენებული ზოგადი შეფასებები და ენა, კითხვის ნიშნებს აჩენს: მაგალითად, მოცემული ფორმულირების მიხედვით, მასობრივი კომუნიკაციური გარემო არის „კომპლექსური“ და „არაპროგნოზირებადი“. რთულია მისადაგება კონკრეტულად რა კომპეტენციებია საჭირო ასეთ “არაპროგნოზირებად და კომპლექსურ“ გარემოში წარმატებული მოღვაწეობისათვის.
ასევე ბუნდოვანია რა იგულისხმება თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციური სივრცის ფართო თეორიულ ცოდნაში, რომელიც ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება. რომელი ბაზარი იგულისხმება აქ :საქართველოს, იმერეთის რეგიონის, ევროპული თუ საერთაშორისო?

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული მიზანი დასახულ იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნის - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა/პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის მიზანში გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა: სხვადასხვა მედია დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაფართოება, ახალი დისციპლინების შემოტანა, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, თუმცა სასურველი იქნებოდა, რომ შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევის დოკუმენტი უფრო კონკრეტული ყოფილიყო და დამყარებოდა მეთოდოლოგიას. ხოლო პრატიკული კომპონენტის გასაძლიერებლად, წარმოდგენილიყო მედიადაწესებულებების უფრო ფართე ჩამონათვალი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონში მედიისა და დემოკრატიის ხელშეწყობისათვის. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება და ითვალისწინებს პროგრამის მესვეურების მიერ წარმოდგენილ მსჯელობას და სურვილს რომ ეს პროგრამა, თუკი ამოქმედდება, დასავლეთ საქართველოში მოქმედი ერთადერთი მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამა იქნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებ №49 (17/18) 09. 02. 2018 - ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გამოყენებული ენა იყოს მარტივი. სათქმელი მკაფიოდ და ნათლად

ჩამოყალიბდეს, ორაზროვანი ინტერპრეტაციის თავიდან ასარიდებლად. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების მეტი კონკრეტიზაცია და დავიწროვება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
აღწერა და შეფასება ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის მიხედვით, „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა მასობრივი კომუნიკაციის დარგის წარმომადგენლების ჩართულობით და უცხოელი დარგის ექსპერტების რჩევების გათვალისწინებით, რაც პოზიტიური და მისასალმებელია. პროგრამის აღწერილობაში მოცემულია სამი მიზანი, რომელიც სწავლების რვა შედეგზე გადის. მიზნებისა და სწავლის შედგების შესაბამისობა/თანაკვეთა წარმოდგენილია ამ უკანასკნელთა შესაბამისობის რუკაზე, ხოლო კურიკულუმის რუკა გვაჩვენებს თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელ სავალდებულო სასწავლო კურსს დონის (I – გაცნობა; P – გაღმავება; M - განმტკიცება) მითითებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების

შესაბამისობის რუკაზე, მიზნების ზოგადი და ფართო ხედვიდან გამომდინარე, სწავლის თითოეული შედეგი სამივე მიზანს შეესაბამება. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია როგორც მიზნების დავიწროება, ისე სწავლის შედეგების მათთან შესაბამისობის გადახედვა.
პოზიტიური და ლოგიკურია პროგრამის სწავლის შედეგების ოთხ ეტაპად დაყოფა, რაც გულისხმობს

- პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;
- კურიკულუმის ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

დოკუმენტაციაში თითოეული ეტაპი ლოგიკურად არის აღწერილი და ახსნილი. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების დროს წარმოჩინდა, რომ პროცესში მონაწილოებას იღებდნენ სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის, ჟურნალისტიკის მიმართულების აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები. მათი თქმით, ისინი შედეგების ჩამოყალიბებისას ხემძღვანელობდნენ შრომის ბაზრის მოთხოვნების გთავლისწინებით.
ჩამოყალიბებული შედეგები საბაკალავრო პროგრამის დონის შესაბამისია, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. მაგალითად:
ცოდნა და გაცნობიერება აღწერს მასობრივი კომუნიკაციური პროცესების განვითარების ეტაპებს, თანამედროვე მედიაორგანიზაციების (ციფრული,ბეჭდური, ელექტრონული) სტრუქტურასა და ფუნქციონირების სპეციფიკას;
აცნობიერებს სხვადასხვა მედიაპლატფორმების და კომუნიკაციური სფეროს სხვა მიმართულებებისთვის მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდების გამოყენების აუცილებლობას; თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, სისტემურად იაზრებს კომუნიკაციური მეცნიერების დარგთაშორის მიღწევებს და სფეროს სპეციფიკურ მიმართულებებს; უნარები - ფლობს ავთენტური ინფორმაციის მოძიების, წყაროებზე მუშაობის, გადამოწმების, დაახარისხების, განაზოგადების, ობიექტურად წერის და მეტყველების უნარს; მიზნობრივად და შემოქმედებითად იყენებს პროფესიულ და ციფრულ ტექნიკას, შესაბამის კომპიუტერულ პროგრამებს; ქმნის სხვადასხვა ტიპის პოსტპროდუქციას მარკეტინგული გათვლებით, „ფუთავს“ და ავრცელებს მედიაკონტენტს; გეგმავს საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიას, ახდენს სოციალური პროექტების ინიცირებას არსებული სიტუაციის შესწავლის, კრიტიკულად აზროვნების და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - პროფესიული ეთიკის და სამართლებრივი ნორმების დაცვით, დამოუკიდებლად ამყარებს კომუნიკაციას რესპონდენტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციებთან, საზოგადოების სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან.

სასურველი იქნებოდა მიზნებისა და შედგების ჩამოყალიბების დროს ღირებულებებზე მეტად ფოკუსირება. საყურადღებოა, რომ პროგრამის მიზნებში ნახსენები „დემოკრატიულობა“ აღარ აისახება ჩამოყალიბებულ სწავლის შედეგებში. თანამედროვე ცვალებად მედიაგარემოში კი სწორედ ღირებულებებია უცვლელი და ამაზე ფოკუსირება მნიშვნელოვანია. სასურველია, რომ მეტად იყოს ხაზგასმული ისეთი უნარები და კომპეტენციები, როგორიცაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის ჟურნალისტიკის როლის გაცნობიერება, ჟურნალისტიკის მომავალზე რეფლექსია, იმ ღირებულებების ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს პროფესიულ არჩევანს იქნება ეს ჟურნალისტიკა, დარწმუნება თუ საზოგადოებასთან ურთიერთობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგის განვითარების სამი პროგრესული დონის მიხედვით განისაზღვრა. დადგინდა სამიზნე ნიშნული - სტუდენტთა საერთო რაოდენობის 60%. სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შედეგად. წარმოდგენილი კურიკულუმის რუკის ანალიზი აჩვენებს რომ სხვადასხვა შედეგებზე გასვლა მეტნაკლებად თანაბარზომიერია, თუმცა სასურველი იქნებოდა, მეტი ყურადღება მიქცეოდა მეოთხე შედეგზე გასვლის მაჩვენებელს, რომელზეც მხოლოდ 7 კურსი გადის, ამასთან ეს შედეგი კრიტიკულია მასკომის სპეციალისტისათვის: ამ შედეგზე გასვლა ნიშნავს, რომ ადამიანი ფლობს ავთენტური ინფორმაციის მოძიების, წყაროებზე მუშაობის, გადაამოწმების, დახარისხების, განაზოგადების, ობიექტურად წერის და მეტყველების უნარს, რაც კრიტიკულია. აქ კიდევ ყურადღება არის გასამახვილებელი “ობიექტურად წერის”-ტერმინზე. სასურველია დაზუსტდეს რა იგულისხმება ობიექტურად წერის დროს, დაბალანესებული წერა? თუ მიუკერძოებელი წერა? “ობიექტური ჟურნალისტიკა” ხშირად იმან თქვა, ამან თქვა ჟურნალისტიკის ანალოგად აღიქმება, ამიტომ ამ ტერმინის ხმარება ნაკლებად არის მიზანშეწონილი.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს კურიკულუმის რუკის ანალიზს, რომელიც გამოხატავს პროგრამის შემქმნელების ხედვას იმის შესახებ თუ რომელი კურსი გადის რა შედეგზე და თუ როგორია კურსის ხასიათი გაცნობითი, განმტკიცებითი თუ კურსი აღრმავებს შეძენილ ცოდნასა და უნარებს.

- პირველ შედეგზე გადის 11 სასწავლო კურსი, მათ შორის:
    - გაცნობის დონეზე - 2 სასწავლო კურსი;
    - გაღრმავების დონეზე - 7 სასწავლო კურსი;
    - განმტკიცების დონეზე - 2 სასწავლო კურსი.
- მეორე შედეგზე გადის 12 სასწავლო კურსი, მათ შორის:
    - გაცნობის დონეზე - 5 სასწავლო კურსი;
    - გაღრმავების დონეზე - 2 სასწავლო კურსი;
    - განმტკიცების დონეზე - 5 სასწავლო კურსი.
- მესამე შედეგზე გადის 11 სასწავლო კურსი, მათ შორის:
    - გაცნობის დონეზე - 2 სასწავლო კურსი;
    - გაღრმავების დონეზე - 6 სასწავლო კურსი;
    - განმტკიცების დონეზე - 3 სასწავლო კურსი.
- მეოთხე შედეგზე გადის 7 სასწავლო კურსი, მათ შორის:

    - გაცნობის დონეზე - 2 სასწავლო კურსი;
    - გაღრმავების დონეზე - 3 სასწავლო კურსი;
    - განმტკიცების დონეზე - 2 სასწავლო კურსი.
- მეხუთე შედეგზე გადის 11 სასწავლო კურსი, მათ შორის:
    - გაცნობის დონეზე - 4 სასწავლო კურსი;
    - გაღრმავების დონეზე - 5 სასწავლო კურსი;
    - განმტკიცების დონეზე - 2 სასწავლო კურსი.
- მეექვსე შედეგზე გადის 7 სასწავლო კურსი, მათ შორის:
    - გაცნობის დონეზე - 1 სასწავლო კურსი;
    - გაღრმავების დონეზე - 1 სასწავლო კურსი;
    - განმტკიცების დონეზე - 5 სასწავლო კურსი.
- მეშვიდე შედეგზე გადის 8 სასწავლო კურსი, მათ შორის:
    - გაცნობის დონეზე - 1 სასწავლო კურსი;
    - გაღრმავების დონეზე - 4 სასწავლო კურსი;
    - განმტკიცების დონეზე - 3 სასწავლო კურსი.
- მერვე შედეგზე გადის 13 სასწავლო კურსი, მათ შორის:
    - გაცნობის დონეზე - 1 სასწავლო კურსი;
    - გაღრმავების დონეზე - 8 სასწავლო კურსი;
    - განმტკიცების დონეზე - 3 სასწავლო კურსი.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კიდევ ერთხელ უნდა გადაიხედოს გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონის კურსების შესაბამისობა და მასთან დაკავშირებული ლოგიკა. იხილეთ მსჯელობა ვრცლად მეხუთე სტანდარტის ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ მეექვსე სწავლის შედეგზე გადის 7 სასწავლო კურსი, მათ შორის, გაცნობის დონეზე - 1 სასწავლო კურსი; გაღრმავების დონეზე - 1 სასწავლო კურსი; განმტკიცების დონეზე - 5 სასწავლო კურსი.

რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებს, ჩამოყალიბებული კრიტერიუმები გამართულია, მაგრამ საჭიროებს მეტ კონკრეტიზაციას და დაზუსტებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებად დასახელებულია სტუდენტთა ნაშრომები - რეფერატი, მიზნობრივი წერითი ნაშრომი, ესე და ა.შ.(იხ. თვითშეფასების ანგარიშის დანართი 4); ყოველკვირეული აქტივობები, დისკუსია-დებატები, ქვიზი, პრეზენტაცია, ჯგუფური სამუშაო, როლური თამაში. ასევე, სასურველი იქნებოდა ამ ჩამონათვალში საბაკალავრო ნაშრომის არსებობა. მნიშვნელოვანია, თითოეული სწავლის შედეგზე გამსვლელ სავალდებულო სასწავლო კურსში იდენტიფიცირებული იქნას ამ სწავლის შედეგზე გამსვლელი ერთი, მაქსიმუმ ორი აქტივობა, მოცემულ საკითხზე გთხოვ იხილოთ დამატებით ინფორმაცია მე-5- ე სტანდარტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდი);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნებსა და შედგების ჩამოყალიბების დროს ღირებულებებზე მეტად ფოკუსირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ მეტად იყოს ყურადღება გამახვილებული მასკომუნიკაციის პროგრამის კურსდამთავრებულის დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობასა და მის ხელშეწყობაზე.
- სასურველია, რომ მეტად იყოს ხაზგასმული ისეთი უნარები და კომპეტენციები როგორიცაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის ჟურნალისტიკის როლის გაცნობიერება, ჟურნალისტიკის მომავალზე რეფლექსია.
- სასურველია, პროგრამაში შემოტანილ იქნას საბაკალავრო ნაშრომი და წარმოადგენდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, სადაც აისახებოდა და გაიზომებოდა სტუდენტების მიერ კვლევითი უნარები, დასკვნის გაკეთებისა და ახალი ცოდნის ხელშემწყობი სხვა უნარები. საგულისხმოა, რომ ამაზე აქცენტი შრომითი ბაზრის კვლევის შედეგებშიც გაკეთდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციაში ნათლად არის აღწერილი პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი მოთხოვნები და რეგულაციები. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელ პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; მიღების წინაპირობებით გათვალისწინებულია კანონმდებლობით დაშვებული ჩარიცხვის სხვა პირობებიც.

პროგრამის ხელმძღვანელს გააზრებული აქვს თუ რა ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირების მიღება სურს პროგრამაზე. მათი სურვილი თანხვედრაშია ბაზრის კვლევით გამოვლენილ საჭიროებასთან დააკმაყოფილოს რეგიონში არსებული ორგანიზაციები კომუნიკაციის სპეციალისტებით. აღნიშნულია, რომ პროგრამის შესახებ ინფორმაცია და მისი მიღების წესები ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. გარდა ამისა, დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღია კარის დღეებში. ახალი პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში, სასურველი იქნება დამატებით სპეციალური ღონისძიებების გატარება ინფორმაციის ადრესატამდე მისასვლელად, შესაძლოა ეს იყოს მედიასაშუალებებში ან სოციალურ მედიაში რეკლამის განთავსება ან მიზანმიმართული მარკეტინგული კამპანიის წარმოება რეკრუტინგისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www. atsu. edu. ge
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ახალი პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში სპეციალური ღონისძიებები გატარდეს ინფორმაციის ადრესატამდე მისასვლელად, შესაძლოა ეს იყოს მედიასაშუალებებში ან სოციალურ მედიაში რეკლამის განთავსება ან მიზანმიმართული მარკეტინგული/საინფორმაციო კამპანიის წარმოება ქუთაისში ახალი მასკომუნიკაციის პროგრამის ამოქმედების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

აღწერა და შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებულ ნორმებს და დარგის სპეციფიკას. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად (საგანამანთლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA). წარმოდგენილი დოკუმენტაცია მკაფიოდ განსაზღვრავს ვის მიერ და რა პროცედურების დაცვით მოხდება პროგრამის მართვა. ნათელია პროგრამის შემუშავებაში განაწილებული ფუნქია- მოვალეობები, სხვადასხვა აქტივობები და ინსტრუქციები. ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღო პროგრამის კომიტეტმა, რომელშიც მონაწილეობდა პროგრამის ხელმძღვანელები, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის კოორდინატორი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული და სტუდენტი.
გასაუბრების დროს მოწვეული პერსონალის მხრიდან არადამაჯერებელმა პასუხებმა გვიჩვენა, რომ სასურველია პროგრამის მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული აკადემიურ პროცესში და ზოგადად, პროგრამის მიზნები უფრო მკაფიოდ ჰქონდეთ გააზრებული.

მისასალმებელია, რომ სპეციალიზირებული გაშუქების საგნებს ყურადღება ექცევა, თუმცა, მოწვეულ ლექტორებს სასურველია, რომ უფრო მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს პროგრამის მიზნებსა და შინაარსზე.
პროგრამის შინაარსი მეტწილად შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს, რეკომენდებულია მისი მეტად დახვეწა, იმგვარად რომ სტუდენტმა შეძლოს პროგრამის განმავლობაში შესწავლილი თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში და ასევე კომუნიკაციის მიმართულებით ცოდნის განმტკიცება.
პროგრამა ეყრდნობა შრომის ბაზრის, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სფეროში მომუშავე ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც

სასურველია პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის შემოტანა, თუმცა ასეთი პროგრამის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი.

კვლევის მიხედვით ასევე აქცენტირებულია პრაქტიკული ელემენტის გაძლიერება, რაც გააზრებული და განხორციელებულია პრატიკული კომპონენტის შემცველი კურსების გადანაწილებით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას 10 კრედიტის მოცულობით, რომელსაც სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა ორგანიზაციაში უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე. მოცემული მემორანდუმები საჭიროებენ მეტ დაზუსტებას, ამავდროულად სასურველი იქნებოდა იმ ორგანიზაციების სიის გამრავალფეროვნება, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები მეტწილად შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, თუმცა ყურადღება გასამახვილებელია ისეთ მომენტზე, როდესაც ერთი და იგივე ადამიანი ასწავლის რამდენიმე საგანს, რომლებიც ერთდროულად ჟურნალისტურ და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებებს ფარავს. მაგალითად, ეკა თხილავას კურსები მოიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობას, ანალიზის და მოსაზრების წერას, წერას პიარისათვის და კრიზისული სიტუაციების გაშუქებას. სასურველი იქნებოდა რომ პედაგოგის დონეზე იყოს გამოკვეთილი განსხვავება ამ ორ მიმართულებას შორის. მასწავლებელი ხშირად როლური მოდელს წარმოადგენს მოსწავლისათვის და ლექტორების პრაქტიკული გამოცდილება და მათ მიერ საკუთარი ცხოვრებისეული თუ პროფესიული გამოცდილების მაგალითები გავლენას ახდენენ სტუდენტის განვითარებაზე და დასწავლის და გაგების დონეზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ მოცულობა არის 240 კრედიტი, წელიწადში 60 კრედიტი, 1 კრედიტს შეესაბამება 25 სთ. სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს (8 სემესტრს).
პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგი სახით:
ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - **124 კრედიტი;**
ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები - **23 კრედიტი;**
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - **25 კრედიტი;**
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები **- 8 კრედიტი;**
*დამატებითი (**minor**)* პროგრამის სასწავლო კურსები - **60 კრედიტი.**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამატებითი პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს გადახედვას და ცვლილებებს. მართალია, დამატებითი პროგრამის სტრუქტურა დაკომპლექტებულია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით, მაგრამ თავად სასწავლო გეგმა არ გულისხმობს არჩევითობის შესაძლებლობას, რადგან წარმოდგენილია 12 სასწავლო კურსი, ხოლო მათი კრედიტების ჯამი კრებს 60 კრედიტს. შესაბამისად, სტუდენტებისთვის წარმოდგენილი 12-ვე სასწავლო კურსის შესწავლა სავალდებულოა, რაც გამორიცხვას დამატებით პროგრამაში სასწავლო კურსების არჩევითობის შესაძლებლობას. რეკომენდებულია, დამატებითი პროგრამის სტრუქტურაში განისაზღვროს 60 კრედიტიდან რამდენია სავალდებულო და რამდენი არჩევითი კრედიტი (მაგ., შესაძლებელია ეს იყოს 40 სავალდებულო და 20 არჩევითი). არჩევითი საგნების ჩამონათვალის მითითება, განსხვავებით სავალდებულო სასწავლო კურსებისა, სავალდებულო არ არის. ამ შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა ექნება, მისი ინტერესების გათვალისწინებით, არჩევითი კრედიტების მოცულობის ფარგლებში, ძირითადი პროგრამის კურიკულუმიდან აირჩიოს შესაბამისი როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსები (წინაპირობების დაცვით).
მტკიცებულებები/ინდიკატორები აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებ №49 (17/18) 09. 02. 2018 - ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA; საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“; კურიკულუმის რუკა; სასწავლო კურსების სილაბუსები; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, დამატებითი პროგრამის სტრუქტურაში განისაზღვროს 60 კრედიტიდან რამდენია სავალდებულო და რამდენი არჩევითი კრედიტი. დამატებით პროგრამაში არჩევითი საგნების ჩამონათვალის მითითება, განსხვავებით სავალდებულო სასწავლო კურსებისგან, სავალდებულო არ არის. • რეკომენდებულია პროგრამაში კომუნიკაციის მიმართულების საგნების დამატება და ამ მიმართულების გაძლიერება(შესაძლებელია ეს იყოს მედიაკამპანიის გეგმის შექმნა ან მედიაკამპანიის წარმოება)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ პროგრამის მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული აკადემიურ პროცესში და ზოგადად, პროგრამის მიზნები უფრო მკაფიოდ ჰქონდეთ გააზრებული.
- სასურველია, რომ ჟურნალისტიკის და კომუნიკაციის მიმართულებები ერთმანეთთან გამიჯნული იყოს ლექტორის დონეზე. ერთი და იგივე ლექტორი სასურველია, რომ არ ასწავლიდეს ორივე მიმართულებით.
- სასურველია, რომ მოიძიონ ახალი გამოცდილებისა და ცოდნის ლექტორები რეგიონში, რომლებიც მოწვეული ლექტორების სახით შემოიტანენ ახალ ცოდნას სასწავლო პროგრამაში.
- სასურველია, პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის შემოტანა, მათ შორის მედიის კვლევის მეთოდების შესწავლისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ისევე როგორც მედიასფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგანმანათლებლო საბაკალავრო

პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“ მეტწილად შესაბამისობაშია მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან. კერძოდ, პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ასევე, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, რიგ შემთხვევებში, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ კურსის შინაარსი ქმნის გარკვეულ გამოწვევებს პროგრამის სწავლის შედეგების სრულად მიღწევის თვალსაზრისით.

საბაკალავრო სასწავლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის განსაზღვრული აღნიშნული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტების რაოდენობა და სტუდენტის საათობრივი დატვირთვა; სასწავლო კურსის შინაარსი ჩამოყალიბებულია ძირითადი საკითხების, შემთხვევების განხილვის, პრაქტიკული მეცადინეობის და სხვა კურსისთვის რელევანტური კომპონენტის გათვალისწინებით.

სწავლების მეთოდები - ლექცია/სემინარი, დისკუსია, შემთხვევების განხილვა, პრაქტიკული მუშაობა და სხვა მეთოდები - ისე არის დაგეგმილი, რომ საშუალო მოსწრების სტუდენტს აძლევს კურსის წარმატებით დასრულებისა და კურსის მიხედვით განსაზღვრული ცოდნისა თუ უნარების დაუფლების საშუალებას. თუმცა, ცალკეულ სასწავლო კურსში შეფასების ფორმები და კრიტერიუმები გარკვეულ გამოწვევას ქმნის კურსის ფარგლებში დასახული სასწავლო მიზნის მიღწევის თვალსაზრისით. მაგ: პროფესიული პრაქტიკის კურსში, რომელზეც ისაუბრეს სტუდენტებმაც და კურსდამთავრებულებმაც, როგორც საინტერესო და ბევრის მომცემ სასწავლო კურსზე, კურსის მიზანი შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „სტუდენტს გაუღრმაოს და განუმტკიცოს პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყების უნარი, კერძოდ - მედია გარემოში არსებული ფაქტების მოძიება, სწრაფად და ოპერატიულად აღქმა, გადამოწმება, გაანალიზება და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა მედია პროდუქტის შექმნა.“ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მართლაც ითვალისწინებს პროგრამის ზოგად მიზანს. ასევე, სილაბუსის მიხედვით, კურსი სტუდენტს უვითარებს „თანამედროვე აუდიო/ვიდეო სამონტაჟო პროგრამების გამოყენებით მედია პროდუქტის“ შექმნის უნარს. თუმცა, პრაქტიკის ანგარიში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ტექსტური სახით. ბუნდოვანია, იგულისხმება თუ არა „ქეისის“ წარმოდგენაში სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული დავალება, თუ ისევ წერილობით უნდა წარმოადგინოს სტუდენტმა მისი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

სილაბუსების შესწავლის შედეგად, იკვეთება, რომ როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ნაწილში მეტწილად შეესაბამება პროგრამის

სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და სასწავლო ლიტერატურა იძლევა სწავლის შედეგის მიღწევის საფუძველს, თუმცა, კურსების სემესტრული განაწილება ქმნის გარკვეულ გამოწვევებს შედეგების სრულად მიღწევის თვალსაზრისით. ამ საკითხზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ერთობლიობა და მათი სემესტრული განაწილება) სასწავლო მიზნები და შედეგები ერთობლიობაში ქმნის და მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. თუმცა, ცალკეული კურსების შემთხვევაში მკაფიოდ არის გასააზრებელი კურსის სასწავლო პროცესის, სტუდენტისთვის მიცემული დავალებებისა და კურსის წინაპირობების კავშირი. მაგ. კურსის „მედია ეთიკა და სამართალი“ ფარგლებში სტუდენტი სწავლობს იმ ეთიკის პრინციპებსა და ჟურნალისტურ სტანდარტებს, რაც საფუძვლად უდევს მის არა მხოლოდ სტუდენტობის პერიოდში შესასრულებელ დავალებებს, არამედ პროგრამის დასრულების შემდეგაც, ჟურნალისტის პროფესიის არჩევის შემთხვევაში. ეს კურსი კი ისწავლება მეოთხე სემესტრში, მას შემდეგ, რაც სტუდენტს უკვე ნასწავლი აქვს „ახალი ამბების წერა“ , „ფოტოჟურნალისტიკა“, „მობილური რეპორტინგი“ და „ინტერვიუს ტექნიკა“ და აღნიშნული კურსების ფარგლებში შეასრულა პრაქტიკული დავალებები, იმსჯელა ქეისებზე, რომლებსაც საფუძვლად უნდა დადებოდა ჟურნალისტიკის სტანდარტებისა და ეთიკის პრინციპები.

ასევე, თავად საგანს “მედია ეთიკა და სამართალი” წინაპირობად მითითებული აქვს ‘მასობრივი კომუნიკაციების შესავალი”, თუმცა, ერთ-ერთ დავალებად მითითებულია ვიდეო სიუჟეტი. თუკი სტუდენტს ვიდეოსიუჟეტის მომზადება ევალება, მაშინ წინაპირობად “ვიდეოგადაღების ტექნიკა” უნდა იყოს მითითებული, სხვაგვარად, სილაბუსი ისე აღიქმება, რომ სტუდენტს მოეთხოვება ისეთი უნარის ქონა, რომლის შეძენა არც კურსის წინაპირობაა და არც კურსის ფარგლებში ისწავლება. კურსის “მედიისა და მას-კომუნიკაციის კვლევის ელემენტები” სილაბუსში სათაურის პრობლემურობის გარდა (მედია მას-კომუნიკაციის ნაწილია), მთელი რიგი სხვა საკითხებიც იკვეთება. მაგ: კურსი გულისხმობს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლებას, ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას. ამ დროს, კურსზე დაშვების წინაპირობად არც მას-კომუნიკაციის თეორიები და არც სტატისტიკა არ არის მითითებული, რაც ქმნის ბუნდოვანებას სწავლის შედეგის მიღწევაში: თუ საგნის წინაპირობა არ არის თეორიული საფუძვლის ქონა, რაზე დაყრდნობით შეძლებს სტუდენტი ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას? ასევე, თუ სტატისტიკა არ იცის, როგორ შეძლებს სტუდენტი მონაცემემის/ცვლადების გაზომვას და სხვა სტატისტიკური მოქმედებების ჩატარებას? ამ კითხვებზე პასუხი კურსის სილაბუსში არ ჩანს. სასურველია, კურიკულუმში ყურადღება მიექცეს სილბუსების თანმიმდევრულობას, ისე რომ ყოველი შემდგომი სილაბუსი ეფუძნებოდეს წინა სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებულ ცოდნას.

პოლიტიკის საკითხების გაშუქების გარდა, სასურველია ისწავლებოდეს პოლიტიკური პიარი ან შესავალი საჯარო კომუნიკაციაში, რათა გაძლიერდეს კომუნიკაციის მიმართულება და პროგრამა მკვეთრად არ იხრებოდეს ჟურნალისტიკის მიმართულებით. ასევე, სასურველია, ისწავლებოდეს ციფრული მედიის მარკეტინგი, რადგან დასაქმების ბაზარზე სოციალური მარკეტინგის უნარის მქონე ადამიანების მაღალი მოთხოვნაა.

სილაბუსებში მოცემულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციის დარგის ფუნდამეტურ ტექსტებს და ასევე, უახლეს სახელმძღვანელოებს. თითოეულ სილაბუსში მოცემულია როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი საკითხავი მასალა რიგ შემთხვევებში, ინგლისურ ენაზე, რაც არ ქმნის დაბრკოლებას პროგრამის სტუდენტისთვის, რადგან პროგრამის კურიკულუმი თავისუფალი კომპონეტის სავალდებულო საგნების სახით, ითვალისწინებს უცხო ენის სამი კურსისა და დარგობრივი ენის 1 კურსის სწავლებას. ეს სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს მასალას მის არამშობლიურ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- აწსუ-ს ბიბლიოთეკა;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ საგანი მედიაეთიკა და სამართალი ისწავლებოდეს პირველივე სემესტრში, რათა სტუდენტს შეუქმნას მყარი საფუძველი მომდევნო კურსებისთვის მოცემული დავალებების მაღალი ეთიკური სტანდარტით შესასრულებლად, ჟურნალისტიკასა და კომუნიკაციას შორის მკაფიო საზღვრის უკეთ აღსაქმელად.
- რეკომენდებულია, რომ პრაქტიკის კურსში სტუდენტის შეფასება ემყარებოდეს არა მხოლოდ პრაქტიკის აღწერას, არამედ, პრაქტიკულად შესრულებულ სამუშაოს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კურიკულუმში ყურადღება მიექცეს სილბუსების თანმიმდევრულობას, ისე რომ ყოველი შემდგომი სილაბუსი ეფუძნებოდეს წინა სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებულ ცოდნას.
- სასურველია ისწავლებოდეს პოლიტიკური პიარი ან შესავალი საჯარო კომუნიკაციაში, რათა გაძლიერდეს კომუნიკაციის მიმართულება და პროგრამა მკვეთრად არ იხრებოდეს ჟურნალისტიკის მიმართულებით. ასევე, სასურველია, ისწავლებოდეს ციფრული მედიის მარკეტინგი, ამ მიმართულებით ბაზარზე მაღალი მოთხოვნაა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვის მიზნით პროგრამაში, სასწავლო კურსების გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტს, გათვალისიწნებულია პროფესიული პრაქტიკა. სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან 3 ტიპის მედია ორგანიზაციაში: ციფრული მედია, ტელევიზია, რადიომაუწყებლობა. პარტნიორ მედიასთან გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული მემორანდუმები საჭიროებენ მეტ დაზუსტებას, ამავდროულად სასურველი იქნებოდა ორგანიზაციების სიის გამრავალფეროვნება. მემორანდუმების გარკვეული რაოდენობა ხანდაზმულია. სასურველია აკრედიტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათი განახლება და ზოგადად, მიზანმიმართული მემორანდუმების და ხელშეკრულებების გაფორმება კონკრეტული მიზნებითა და შედეგებით ცალკეულ პროგრამასთან მიმართებით, რათა დაკონკრეტდეს პირობები და მოერგოს პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის სპეციფიკას. წარმოდგენილ მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში არ არის მითითებული სტუდენტთა რა რაოდენობის მიღებას შეძლებს ერთი დაწესებულება/ორგანიზაცია, არც პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი პრაქტიკის ხანგრძლივობაზეა გამახვილებული ყურადღება. მართალია აღნიშნული მითითებულია პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში, მაგრამ 2.4 კომპონენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხელშეკრულებები/მემორანდუმები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

სტუდენტს ხელმძღვანელობას გაუწევენ როგორც პრაქტიკის ხელმძღვანელი, ასევე არსებული მედია ორგანიზაციის თანამშრომელი, ე.წ. მენტორი, რაც უდავოდ დაეხმარება სტუდენტს ახალ რეალურ გარემოში ადაპტაციაში, მიღებული დავალების შესასრულებლად ამოცანების მკაფიო დასახვასა და მათ გადაჭრაში. სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების მექანიზმი შემუშავებულია კურსის ხელმძღვანელის მიერ და ითვალისწინებს სტუდენტთა გადანაწილებას არა მხოლოდ მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების, არამედ, არსებული პარტნიორი მედიების პრაქტიკანტ სტუდენთა მიღების საშუალების მიხედვით.

პრაქტიკის კურსში რომ სტუდენტთა პრაქტიკული სამუშაოს შეფასებას უნდა დაეთმოს დრო, ეს აღნიშნულია სტანდარტი 2.2-ის შეფასებისას. პრაქტიკა არ ხორციელდება საზოგადოებასთან ურთიერთობის ან სხვა არაჟურნალისტური საკომუნიკაციო პრაქტიკული ან კვლევითი უნარის განსავითარებლად და სწავლის განმავლობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ამ მიმართულებით პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

უნივერსიტეტში, 2018 წლიდან, ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო წრე. როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული: "სამეცნიერო წრის მიზანია: 1.სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერესის გაღვივება; 2.სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება; 3.საუნივერსიტეტო, რესპუბლიკური და საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციებისათვის სტუდენტთა მომზადების პროცესის ხელშეწყობა; 4.სოციალური მეცნიერებათა პროფილის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მომზადება და ჩატარება და სხვ." ამ წრის ფარგლებში არა ერთი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარებულია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აწსუ-ს, სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის, მასობრივი კომუნიკაციის მოდულის სტუდენტებმა და ასევე, სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების სტუდენტებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი ბოლო საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 2021 წელს, საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით „ყალბი ამბები და დეზინფორმაცია: საფრთხეები, ბრძოლის გზები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აწსუ-ს მასობრივი კომუნიკაციის მოდულის სტუდენტებმა. ამავე მოდულის სტუდენტები საერთაშორისო კონფერენციებში ბოლო 5 წლის განმავლობაში აქტიურად არიან ჩართულები. უნივერსიტეტი ჩართულია ERASMUS+ გაცვლით პროგრამაში, რამ პროგრამის სტუდენტებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საშუალებას აძლევს.

აწსუს აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც გამოკვეთს შემდეგ ოთხ მიმართულებას:

ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარება;

უცხოური სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის მოზიდვა და ინტეგრაცია;

აწსუ-ს სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო მობილობა;

უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ხარისხის ზრდა.

პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მოტივირებულია გააგრძელოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაზე მუშაობა და გააძლიეროს პროგრამა აღნიშნული მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- სტუდენტთაკონფერნციისმასალები https://atsu. edu. ge/index. php/siuec-geo;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ სტუდენტმა პრაქტიკა გაიაროს არა მხოლოდ მედია ორგანიზაციებში, არამედ, პიარის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებში ან სახელმწიფო/კერძო/არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტებში იმისათვის, რომ პროგრამის მიერ დასახული მიზნის შესაბამისად, სტუდენტს უკეთ განუვითარდეს შესაბამისი პრაქტიკული/ტრანსფერული უნარები კომუნიკაციის დარგში.
- რეკომენდებულია, პრაქტიკული კომპონენტის დახვეწა, რაც მოითხოვს სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების გადახედვას და მკაფიო კრიტერიუმების შემუშავებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციო პროცესისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზისას, ნათლად ჩანს, რომ საბაკალავრო პროგრამა "მასობრივი კომუნიკაცია" დაიგეგმა ბაზრის მოთხოვნების გათვალისინებითა და მას-კომუნიკაციის მოდულის კუსდამთავრებულების რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ ცალკეულ სილაბუსში მკაფიოდ არის წარმოდგენილი სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც მეტწილად, ეხმარება სტუდენტს კურსის მიზნების მიღწევაში. სწავლა-სწავლების მეთოდები მეტწილად, ითვალისწინებს სასწავლო თემატიკას და შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს, კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლა და სწავლების მეთოდი სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარებს. ხელს უწყობს სასწავლო მასალის ათვისებას. თუმცა,

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმი შეიცავს ისეთი საგნების სწავლებას, რომლებიც ცდება ჟურნალიზმს და წარმოადგენს კომუნიკაციის სფეროს, მაინც სასწავლო პროგრამა მეტ აქცენტს აკეთებს ჟურნალისტური განათლების მიცემაზე და კარგი იქნებოდა კომუნიკაციის მიმართულების გაძლიერება, ასევე მკაფიო ეთიკური ხაზის გავლება კომუნიკაციის ამ სრულიად განსხვავებულ ფორმასა და შინაარსს შორის.

საბაკალავრო პროგრამის სილაბუსების შესწავლისას, გამოჩნდა, რომ პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების მეთოდების მთელ სპექტრს. მათ შორისაა შემდეგი მეთოდები: ლექცია, ჩაშენებული პრაქტიკული მეცადინეობა და ცალკე მგდომი პრაქტიკის სასწავლო კურსი, ელექტრონული რესურსით სწავლება, სასწავლო საველე გადაღება და ა.შ. სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს ინტერაქტიულობას. სტუდენტები მონაწილეობენ დისკუსიებში, აწყობენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ პრეზენტაციებს. მთელ რიგ კურსებში გამოყენებულია შემთხვევის ანალიზის კომპონენტი, რაც სტუდენტს აძლევს კონკრეტული მაგალითების მიხედვით მსჯელობისა და საუკეთესო მაგალითების გააზრების საშუალებას და სხვა. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება კურსის სპეციფიკიდან და დასახული მიზნიდან გამომდინარე. სასწავლო მეთოდები მეტწილად, ორიენტირებულია დასახული შედეგის მიღწევაზე. მაგალითად, საგანში "ახალი ამბების წერა" სტუდენტები მთელი სემესტრის განმავლობაში სწავლობენ როგორ უნდა დაწერონ ახალი ამბის ცალ-ცალკე კომპონენტები: სათაური, ლიდი, ძირითადი ტექსტი. ამავე დროს, ჯგუფებში აანალიზებენ უკვე გამოქვეყნებულ შერჩეულ ტექსტს და მსჯელობენ ტექსტის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, პროფესიულ სტანდარტებზე; საგანში "ვიდეოგადაღების ტექნიკა" სწავლობენ კამერის მუშაობას ახლო და პანორამული ხედებით, განათებას,, კადრის კომპოზიციას, მონტაჟს და ა.შ. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც საგანი მოითხოვს მეტ პრაქტიკულ დავალებას და მიზნის მეტ მკაფიოობას. მაგ: საგნის "მობილური რეპორტინგი" სასწავლო კურსის მიზანი ისეა აღწერილი სილაბუსში, რომ მკაფიოდ არ ჩანს სტუდენტი სამაუწყებლო მედიისთვის რეპორტაჟს სწავლობს, თუ მობილურ რეპორტინგს. შუალედური და საბოლოო გამოცდა უმეტესად აგებულია გადაღების თეორიული ნაწილის ცოდნაზე, არადა, კურსი სწორედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რადგან სწორედ მობილური რეპორტაჟებია დღეს ონლაინ და სოციალური მედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. კურსის პირველი ნაწილიც, ზოგადად, რეპორტაჟის გადაღების პრინციპებსა და სტრუტურას ეხება და სემესტრის მეორე ნაწილამდე არ ჩანს მკაფიოდ, მობილური ტექნოლოგიების როლი რეპორტაჟის დღევანდელი სახით წარმოდგენაში. საკითხავი სავალდებულო მასალაც მეტწილად ეხება წერას ტრადიციული მედიისთვის და არ არის სტუდენტებისთვის შეთავაზებული მობილური რეპორტინგის პრინციპი. სილაბუსში არ არის მითითებული კურსის წინაპირობა. უკეთესი იქნებოდა, რომ საგნების - "ახალი ამბების წერა", აუდიო-ვიდეო რედაქტირება, ვიდეოგადაღების ტექნიკა, ფოტოჟურნალისტიკა, ხმა და დიქცია სწავლა აღნიშნული საგნის წინაპირობა ყოფილიყო, რადგან მობილურ

რეპორტინგს ყველა ეს უნარი სჭირდება. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკის სილაბუსში უფრო მკაფიო აქცენტი უნდა გაკეთდეს სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შესრულებაზე და არა მის თეორიულ აღწერაზე. და ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მექანიზმები, რაც გულისხმობს ინდივიდუალურ მიდგომას სტუდენტის შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით. ამგვარი მექანიზმისა და სწავლა-სწავლების მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტთა შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“; • სასწავლო კურსები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www. atsu. edu.ge; • ·https://teams. microsoft. com/_#/manageteams/myteams/· • http://moodle. atsu. edu. ge/; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, რომ კიდევ ერთხელ გადაიხედოს უნარებზე ორიენტირებული კურსების სწავლების მეთოდები, რომ პროგრამის ხელმძღვანელი დარწმუნდეს, რომ თითოეულ კურსში თავიდანვე მკაფიოდაა დაგეგმილი ის აქტივობები, რამაც სტუდენტი სასწავლო შედეგზე უნდა გაიყვანოს.
რჩევა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასებ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტების შინაარსი და მეთოდები განსხვავებულია და შეესაბამება კურსის შედეგებს. სტუდენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები გამჭვირვალე და სამართლიანია.

2017 წლის ,,სტუდენტთა შეფასების სისტემის'' დადგენილების მიხედვით, სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ შესაბამისი ქულის (სილაბუსით დადგენილი შეფასების ნახევარს პლუს 1 ქულა) მიღების შემთხვევაში.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15-25 ქულათა დიაპაზონით (სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვრება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით).

ასევე მეტ დაფიქრებას საჭიროებს შეფასებების სისტემა, რომელიც სტანდარტულია ყველა საგანში:

სტუდენტის ცოდნის შეფასების კომპონენტები

შეფასებისკომპონენტები	***კომპონენტების წილი***
შუალედური გამოცდა	30
აქტივობა	30
დასკვნითი გამოცდა	40
ჯამი	**100**

ასეთი საგამოცდო სქემა ვერ მოერგება ერთანირად თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს. მაგალითად, ისეთი საგნების, როგორიცაა მასობრივი კომუნიკაციის თეორია, კვლევის მეთოდები, დოკუმენტური კინო, ფოტოჟურნალისტიკა, რეკლამა და მარკეტინგი, საზოგადოებასთან ურთიერთობა ერთნაირი კომპონენტებით შეფასება ვერ უწყობს ხელს, რომ სტუდენტმა სრულყოფილად მიიღოს კურსის ფარგლებში დაგეგმილი შედეგი. უმჯობესია, რომ შეფასების სისტემა უკეთ მოერგოს თითოეული კურსის სპეციფიკას, რათა სტუდენტს შეეძლოს მასალის სრულყოფილად ათვისება და იმ ცოდნისა თუ უნარების შეძენა, რაც გათვალისწინებულია კურსის ფარგლებში.

განხორციელებული ონლაინ ვიზიტისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებისგან იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებსა და საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ როგორც სემინარების დროს, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეუძლიათ შეფასების შედეგების გასაჩივრება ელექტრონული დეკანატის მეშვეობით, შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში და სამი სამუშაო დღის ვადაში იღებენ უკუკავშირს. მოცემულ პროგრამას დებულებით არ აქვს განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომი და ის ჩანაცვლებულია შესაბამისი ცოდნის მისაღები და უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის საჭირო საგნებით, თუმცა როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ასეთი ნაშრომის არსებობა სასარგებლო იქნებოდა პროგრამისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 (2007 წლის 5 იანვარი); • დადგენილება № 10 (17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესის დამტკიცების შესახებ (10.11.2017); • დადგენილება №5(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ (15.09.2017); • მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • თვითშეფასების დოკუმენტი; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, რომ შეფასების სისტემა უკეთ მოერგოს თითოეული კურსის სპეციფიკას, რათა სტუდენტს შეეძლოს მასალის სრულყოფილად ათვისება და იმ ცოდნისა თუ უნარების შეძენა, რაც გათვალისწინებულია კურსის ფარგლებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტს მეტ-ნაკლებად აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიების, სტაჟირებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას იგებენ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტისა და აპლიკაცია ATSU NEWS-ის მეშვეობით. უსდ-ში წარმატებით ფუნქციონირებს ტუტორთა ინსტიტუტი, რომლის მთავარი მიზანია პირველკურსელი სტუდენტებისათვის შესაბამისი კონსულტირების გაწევა. როგორც თავად სტუდენტებმაც აღნიშნეს, დანერგილი პრაქტიკა საკმაოდ ეფექტურია და უზრუნველყოფს მათ ინტეგრირებას სწავლის პროცესში. პირველკურსელებთან ონლაინ სწავლების ფორმატში ასევე იმართება დისტანციური საორიენტაციო შეხვედრა Microsoft Teams-ში. კურიკულუმში გაწერილია ლექტორებთან საკონსულტაციო საათები, კერძოდ, კვირაში ერთი საათი, თუმცა სტუდენტებმა ვერ გაიხსენეს ვერც ერთ ლექტორთან კონსულტაციისთვის დანიშნული კონკრეტული დღე. ამიტომ, სასურველია საკონსულტაციო აპარატის დახვეწა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო მობილობითა და გაცვლითი პროექტებით, თუმცა გაცვლით პროგრამათა რაოდენობა შეზღუდულია. როგორც ინტერვიუს შედეგად დადგინდა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სტაჟირებებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში. მაგალითად, ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ სტაჟირება გაიარა გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაცია ,,ifact''-ში, სხვებმა აღნიშნეს, რომ დასაქმებული არიან ტელეკომპანია ,,megatv''-ში. სტუდენტები ლექტორთა ხელშეწყობით ამზადებენ სიუჟეტებს და იღებენ შესაბამის პრაქტიკულ გამოცდილებას. თუმცა, როგორც თავად ისინი და კურსდამთავრებულები ამბობენ, უმჯობესი იქნება ჰქონდეთ პროფესიული კუთხით მეტი პრაქტიკული კურსის გავლის შესაძლებლობა. უსდ-ს გააჩნია კარიერის მართვის სამსახური, თუმცა სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი ამ შესაძლებლობას ნაკლებად იყენებენ. პერიოდულად იმართება კარიერის დღეები, თუმცა სტუდენტთა აქტივობა მსგავს ღონისძიებაზე უმნიშვნელოა. შესაბამისად, სასურველია კარიერის განვითარების სამსახურის როლის გაძლიერება და სტუდენტებს შორის ამ სამსახურის ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტი; მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა; თვითშეფასების დოკუმენტი; უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
• სასურველია, უსდ-ს მიერ საკონსულტაციო მომსახურების აპარატის სრულყოფილად გამართვა; კარიერული სამსახურის ფუნქციის შემთავსებელი სტრუქტურული ერთეულების როლის გაძლიერება და ამ ერთეულის ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლება სტუდენტებს შორის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-

კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესს გაუძღვება აწსუ-ს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული ლექტორები. 16 ასოცირებული პროფესორი, 17 მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტი, მათ შორის 2 დოქტორანტი. აკადემიური პერსონალიდან 15 აფილირებულია.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენცია დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ასევე მათი ნაწილის პრაქტიკული გამოცდილებითა და სალექციო კურსების წაკითხვისა თუ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში ერთ ადამიანს უწევს რამდენიმე კურსის წაყვანა, მათი კვალიფიკაცია და რეგიონში ხარისხიანი სასწავლო პროგრამის შექმნის მოტივაცია გვარწმუნებს, რომ მათი დატვირთვა და რაოდენობა არ უქმნის პროგრამის მდგრადობას რისკს.

პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. ის უშუალოდ არის ჩართული პროგრამის როგორც შემუშავებაში, ასევე მის განხორციელებაში. კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით.

აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, მათ სამოგზაურო გრანტით უზრუნველყოფს.
ხარჯებს.
საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური მუდმივად აწვდის აკადემიურ პერსონალს ინფორმაციას სამეცნიერო კონფერენციისა თუ სხვადასხვა აქტივობის შესახებ.

პროგრამა ასევე უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ადმინისტრაციული და კვალიფიციური დამხმარე პერსონალით, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის ჯეროვნად განხორციელებასა და საჭიროებისამებს, მის გაუმჯობესებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • აწსუ-ს საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული დებულებები, ბრძანებები და დადგენილებები. მათ შორის (ბრძანება სამოგზაურო გრანტის შესახებ); • აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
აღწერა და შეფასება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო

- მეთოდურ მუშაობის შესამოწმებლად არსებობს მთელი სისტემა, რომელიც შედგება ფაკულტეტის დეკანატის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, რექტორის მოადგილისაგან. დოკუმენტაციაში ასევე აღნიშნულია, რომ სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურ საქმიანობას ამოწმებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც აღრიცხავს თითოეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის წლიურ ანგარიშს. სამუშაოს შესრულების ანგარიში განიხილება დეპარტამენტის სხდომებზე და წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სასწავლო წლის ბოლოს აღრიცხავს და განიხილავს აკადემიური პერსონალის სასწავლო წლის მანძილზე სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვის შესრულების შედეგებს.
ამ ჩანაწერის მიხედვით ისეთ შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აკადემიური პერსონალი გამუდმებული შემოწმების რეჟიმშია. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საუკეთესო სტანდარტი აკადემიური დამოუკიდებლობის მისაღწევად, არა შემოწმებაზე ორიენტირებული, არამედ ნაკლებად ბიუროკრატიული, ნდობაზე დაფუძნებული, მამოტივირებელი სისტემაა.
დოკუმენტაციის მიხედვით, მუდმივად ხდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების (CV) შექმნა-განახლება, რაც შემოწმებაზე დაფუძნებით, სიმართლეს შეესაბამება.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ პერსონალის შეფასება კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკის საშუალებით ხორციელდება, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სასარგებლო პრაქტიკად აფასებს.
დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის ფარგლებში ხორციელდება:
- ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება;
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრების ჩატარება;
- აწსუ-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება;
- უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ-მოდულები;
- აწსუ-ს სამეცნიერო კონფერენციების სერვისები.
დოკუმენტაციის მიხედვით, „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პირების გადამზადება, ფაკულტეტის ინიციატივით და დაფინანსებით ხორციელდება. მაგალითად, მოყვანილია ისეთი კურსები, როგორიცაა უმაღლესი განათლება და ხარისხის განვითარება ან ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება საშუალო საფეხურის მენეჯერებისათვის.

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მონაწილეობას ღებულობს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორ წელიწადში ერთხელ ორგანიზებულ და ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“ http://conferences. atsu. ge/BLSS/ . მოცემული კონფერენციის აღწერის წაკითხვის შემდეგ ძნელია იმსჯელო, რამდენად

წარმოადგენს მოცემული პროგრამის აკადემიური პერსონალისათვის განვითარების შესაძლებლობას.
დოკუმენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა ტრენინგი დისტანციური სწავლებისა და უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმებით სარგებლობის შესახებ, რაც ინტერვიუებზეც დაადასტურეს.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუების მიხედვით ჩანს, რომ
უნივერსიტეტი ცდილობს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში ჩართვას, რისი დასტურიცაა ჩიკაგოს დეპოლის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, რომელიც გამოიხატა უნივერსიტეტის მონახულებით, საჯარო ლექციების სერიით და ასევე სტუდენტთა მასტერკლასებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2017-2020 წლის აქტივობებით აპელირებს, ხოლო 2021-2022 წლებში ასეთ აქტივობებზე არ მიუთითებს. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ წახალისებული იყოს სხვა უნივერსიტეტებთან, მათ შორის ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტს მრავალი მემორანდუმი აქვს გაფორმებული საქართველოში არსებულ სასწავლო დაწესებულებებთან მომავალში თანამშრომლობის გასაძლიერებლად.
თანამშრომელთა კონფერენციებში მონაწილეობის წახალისების მიზნით უნივერსიტეტი აფინანსებს თანამშრომლების ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობას, საერთაშორისო გამოცემებში პერსონალის გამოქვეყნებების მხარდაჭერას; საერთაშორისო პარტნიორებთან სამეცნიერო-კველევითი პროექტების განხორციელების მხარდაჭერას. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებისა და პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტი ინფორმაციას საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე აქვეყნებს.

პროგრამაში ჩართულ პირთა კვლევითი მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში 412-ია. შემთხვევითი წესით შერჩეული სივის შემოწმებამ ცხადყო, რომ მაგალითად ერმალო ლანჩავა აქტიურად აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს, რაშიც სავარაუდოდ მას უნივერსიტეტი ეხმარება. საგულისხმოა, რომ საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებების რაოდენობა 134, რაც კარგია. ამ მხრივ გამორჩეული იყო მზია თადუმაძის CV.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა EP-QA 1. 2;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა. დანართი 4- EP-QA 1. 2;
- აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- აწსუ-ს აკადემიური საბჭო დადგენილება № 65(18/19), 10. 07. 2019 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტისაკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ; • ფაკულტეტის ვებგვერდი - https://atsu. edu. ge/index. php/business-news-geo; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აკადემიური პერსონალის განვითარების ისეთი პოლიტიკის შემუშავება და არსებულის დახვეწა, რომელიც უფრო მეტად იქნება წახალისებაზე და მოტივაციაზე დამყარებული, ვიდრე შემოწმებასა და აღრიცხვაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მცირე პრობლემები აღინიშნება კამერების რაოდენობასთან მიმართებით. პროგრამის ამუშავების შემთხვევაში აუცილებელი იქნება ახალი ტექნიკით შევსება. ეს აზრი ვიზიტის დროს გავრცელდა, მაგრამ მისი რეალიზაციისათვის წარმოდგენილი ბიუჯეტი არადამაჯერებელია.
შთამბეჭდავი იყო იმის მოსმენა, რომ ლაბორატორიები 24/7 ზე ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, იმ შემთხვევაში თუ საქმის კურსში იქნება ჩაყენებული შესაბამისი პირი, თუმცა, სასწავლო დაწესებულებაში არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესები, რომლებიც ტექნიკის მართვას, მის ცვეთას და სხვა შესაძლო პრობლემებსა და პასუხისმგებლობებს უკავშირდება. სასურველი იქნება მსგავსი დოკუმენტის შექმნა.
საყურადღებოა, რომ ვიზიტის შედეგად თვალნათელი გახდა, რომ, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“ უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით, რომელიც განაპირობებს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებსა და სხვა სასწავლო მასალებს. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომელთა ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია: library. atsu. edu. ge).
რესურსების მოძიება ხდება ეფექტურად, ერთი ფანჯრის პრინციპის გამოყენებით, ამ პრაქტიკის ეფექტურობა სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებისათვის ვიზიტის დროს თვალნათლივ დადასტურდა.

აწსუ-ს I და II ადმინისტრაციულ კორპუსები, სადაც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაციების“ ხორცილდება აკმაყოფილებს კარგ სტანდარტს. პროგრამისთვის გამოყოფილი აუდიტორიები, შეხვედრებისა და კონსულტაციების ოთახები, საკონფერენციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, დარბაზი, კაფეტერია სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.
უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო (ლიფტი, პანდუსები, სველი წერტილები) აუდიტორიები აღჭურვილია საპროექციო აპარატურით.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და სპეციალობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თუმცა რიგ შემთხვევაში გაურკვეველია ამ ბაზასთან რა კავშირი აქვთ სტუდენტებს. რა ფორმით შეძლებენ ისინი მოცემული სიკეთით სარგებლობას, რა პასუხისმგებლობა და მოვალეობები ეკისრებათ მათ მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენების შემთხვევაში. მაგალითად ძალიან შთამბეჭდავი იყო ბიზნეს ინკუბატორის მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება და მისი მესვეურების პროფესიონალური აზრების მოსმენა, მაგრამ არადამაჯერებელი და არასრულა იყო მათი წარმოდგენები

სტუდენტების მიერ მოცემული ბაზით სარგებლობის შესახებ, და პირიქით, სტუდენტების შესაძლო თანამშრომლობისა და კონტრიბუციის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აწსუ-ს ბიბლიოთეკა https://library. atsu. edu. ge/
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სასწავლო დაწესებულებაში ჩამოყალიბდეს, გაიწეროს და ამოქმედდეს აუდიო-ვიზუალური ტექნიკის მოხმარების წესები და რეგულაციები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, რომ არსებული მატერიალური ბაზა უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული კურიკულუმში. სხვადასხვა ლაბორატორებში მომუშავე პერსონალი ჩაერთოს სწავლების პროცესში და გათვითცნობიერდეს პროგრამის შინაარსსა და მიზნებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის წლიური სავარაუდო ბიუჯეტი, რომელიც გაანგარიშებულია ერთ ჯგუფზე (ამ შემთხვევაში 20 სტუდენტზე) შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობის დათვლით. წარმოდგენილი ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში ითვლის შემდეგ მაჩვენებლებს:

აკადემიური პერსონალის ხელფასი (მათ შორის შტატის თანამშრომელთა ხელფასი, ხელშეკრულებით მოწვეულ პირთა ხელფასი, საათობრივად მოწვეულ პირთა ხელფასი);
წლის განმავლობაში დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი გაანგარიშებული ერთ ჯგუფზე;
წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი, გაანგარიშებული ერთ ჯგუფზე;
პრაქტიკის ხარჯი (პრაქტიკის ობიექტისათვის აწსუ-ს მიერ გადასახდელი თანხა);
სამეცნიერო/კვლევის ხარჯი (მათ შორის, სამეცნიერო მივლინებები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნების, კვლევითი პროექტების, სამეცნიერო ლიტერატურის და სხვა ხარჯი);
გადასახადები, სტიპენდია, კომუნალურები.
სხვა ხარჯები (მათ შორის ღონისძიებებზე, ტრეინინგებზე, მასალებზე, მარაგებზე და სხვ.).

ბიუჯების ხარჯვითი ნაწილი ერთ ჯგუფზე შეადგენს 41910 ლარს, რისკის დაზღვევით კი 46101 ლარს, ხოლო შემოსავლების ნაწილში განხილულია სწავლის საფასურის ოდენობა (2250 ლარი) 20 სტუდენტის შემთხვევაში, რაც წარმოადგენს 45000 ლარს. ასევე, შემოსავლების ნაწილში საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გაითვალისწინება ფაკულტეტების მიერ ეკონომიკური საქმიანობისა თუ საკუთარი ადამიანური და მატერიალური რესურსის კომერციალიზაციის შედეგად მოზიდული დამატებითი რესურსები და სიკეთეები. აქვე, აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში გაუთვალისწინებელი ან სხვა აქტივობების ხარჯების დაფარვა ხდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.

პროგრამის ბიუჯეტში გარკვეულ კითხვებს ბადებს ისეთი ხარჯვითი კომპონენტი როგორიცაა სასწავლო პრაქტიკის ხარჯი, რომელზეც ბიუჯეტში 20 კაციან ჯგუფზე გაანგარიშებულია 300 ლარი, რაც ერთ სტუდენტზე პრაქტიკის ობიექტისთვის გადასახდელ თანხად 15 ლარს განსაზღვრავს. როგორც სილაბუსიდან ირკვევა, პროფესიული პრაქტიკა 10 კრედიტიანია და მოიცავს 180 საკონტაქტო საათს (კვირაში 3 დღე, დღეში 4 სთ). ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღნიშნული დატვირთვის ანაზღაურების მიზნით ერთ სტუდენტზე 15 ლარის განსაზღვრა არარეალისტურია და საჭიროებს გადახედვას. ასევე, ბიუჯეტში დასაზუსტებელია სტუდენტთა სტიპენდიის მოცულობაც. მართალია გამოყოფილია 1800 ლარი, მაგრამ

არ არის მითითებული წლიურად რამდენ სტუდენტს აფინანსებს პროგრამა. სასურველია მოხდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილი კომპონენტების ხარჯების გადახედვა და დაზუსტება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ; • პროგრამის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი. • სასურველია მოხდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილი კომპონენტების ხარჯების გადახედვა და დაზუსტება (პრაქტიკის ხარჯი და სტიპენდია).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფ ა	X			

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1.შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესების წარმართვას ფაკულტეტების სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით შემუშავებული დოკუმენტები და მათგან გამომდინარე რეგულაციები კონცეფციის დონეზე ეყრდნობა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო ევროპულ სტანდარტებსა და პოლიტიკის დოკუმენტებს (მაგ., როგორიცაა „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG)“), ისე ლოკალურ, ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის რეგულირების მიმართულებით არსებულ კანონმდებლობას. საკუთრივ უნივერსიტეტის ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება ზემოაღნიშნული კონცეფციიდან გამომდინარე სამ ძირითად პოლიტიკის დოკუმენტს: 1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA; 2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA; 3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და პროცედურები აღწერილია დოკუმენტში - „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA“, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს მთლიანი საუნივერსიტეტო საზოგადოების ვალდებულებისა და ჩართულობის საგანს. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა აერთიანებს სამ ქვედოკუმენტს (1. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა, 2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა, 3. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა), მოიცავს ყველა იმ ეტაპისა და პროცედურის, ისევე როგორც, ჩართული მხარეების ვალდებულებებისა და მოვალეობების დეტალურ აღწერას, რასაც ექვემდებარება უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესს უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. სამსახური საქმიანობას ახორციელებს PDCA ციკლის პრინციპების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და გაუმჯობესებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტში მოცემული დოკუმენტების ანალიზისა და შემდეგ ეტაპზე, შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და სააკრედიტაციო პაკეტის მომზადების პროცესში ჩართული იყო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისევე როგორც ადმინისტრაციული პერსონალი. თუმცაღა, ამავე გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, ისევე როგორც შეფასების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შემუშავების პროცესში პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას არ აქვს ინტენსიური ხასიათი. ამის დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ პროგრამის პერსონალი ცუდად იცნობს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში არ იცნობს პროგრამის შეფასების (მაგ., სწავლის შედეგების შეფასების) მიმართულებით არსებულ საუნივერსიტეტო და თვით პროგრამის სპეციფიკურ მექანიზმებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი კარგად იცნობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროგრამის შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, 5.1. კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ხარისხის უზრუნველყოფის საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სამსახურებმა გააქტიურონ მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში

ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 4); • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი 12); • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სამსახურებმა გააქტიურონ მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2.გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული მასალების ანალიზისა და შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება პროგრამის გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებით მიღებული შეფასებებისა და გარე ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გამოყენება. პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტში, აწსუ-ში მოქმედი ხარისხის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, წარმოდგენილია დარგის გარე ექსპერტის შეფასება შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით. სახელდობრ, მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება უზრუნველყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორმა, ჟურნალისტიკის დოქტორმა მაგდა მემანიშვილმა. შეფასებით მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გარკვეული ნაწილი გაზიარებულ იქნა პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ და შესაბამისად, აისახა როგორც პროგრამის მიზნებსა და შედეგებში, ისე სასწავლო გეგმაში. კერძოდ: გარე ექსპერტის რეკომენდაციის შესაბამისად, მიზნებსა და სწავლის შედეგებში ყურადღება გამახვილდა „მასობრივი კომუნიკაციის“ გამოყენებასა და ასახვაზე, თუმცაღა, აქვე აღვნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანია მიზნებსა და სწავლის შედეგებში უფრო დაკონკრეტდეს მასობრივი კომუნიკაციის დარგისთვის სპეციფიკური თუ რა ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა მიმართული პროგრამა; შეიცვალა სასწავლო გეგმაში სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კრედიტების განაწილება; კურიკულუმს დაემატა სასწავლო კურსები „მედიისა და მასკომუნიკაციის კვლევის ელემენტები“, „საავტორო დოკუმენტური კინო“; გაერთიანდა სასწავლო კურსები „მედიაეთიკა და თვითრეგულირება“ „მედიასამართალი“ ერთ სასწავლო კურსად სახელწოდებით „მედია ეთიკა და სამართალი“ და სხვ. (დაწვრილებით იხ. დანართი 1-ში). პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, სასურველია პროგრამის სამუშაო ჯგუფმა ინტენსიურად გამოიყენოს უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები, რათა უზრუნველყოს პროგრამის გარე ექსპერტიზაში დარგის უცხოელი სპეციალისტებისა და ექსპერტების ჩართვა. აღნიშნული პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება შეიმუშავოს ევროპულ ან/და საერთაშორისო საგანმანთლებლო და შრომის ბაზრის სივრცესთან მისადაგებული პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების როგორც

დასაქმებას ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე, ისე სასწავლო და კვლევითი მობილობის შეუფერხებელ განხორციელებას. გარე აქტორების შეფასებების მიღების მიზნით დამატებით ჩატარებულია დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. პროგრამაში ასახულია აღნიშნული გამოკითხვების შედეგებით გამოკვეთილი რჩევები და რეკომენდაციები, რომელთა დიდი ნაწილიც ეხებოდა პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებას. ამ მხრივ, პროგრამის კურიკულუმში გაზრდილია ე.წ. ჩაშენებული პრაქტიკის წილი, რაც ასახულია შესაბამისის სასწავლო კურსების აღწერილობებში პრაქტიკული დავალებებითა და აქტივობებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის გაგზავნილ თვითშეფასების ანგარიშის ბოლო რედაქციაში არ არის წარმოდგენილი 5.2. კომპონენტის აღწერილობითი და შეფასებითი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული განიხილა ტექნიკურ ხარვეზად, რადგან სააკრედიტაციო პაკეტის თავდაპირველ ვერსიაში 5.2. კომპონენტი სრულად წარმოდგენილი იყო. ასევე, ვიზიტისას გამოთხოვილ იქნა ზემოაღნიშნული კომპონენტის აღწერილობითი და შეფასებითი ნაწილი შემდგომი შესწავლის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამა და სასწავლო კურსები; • საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA ; • საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასების პროცესში გარე ექსპერტის დასკვნა; • გამოთხოვილი დოკუმენტები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამის სამუშაო ჯგუფმა ინტენსიურად გამოიყენოს უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები, რათა უზრუნველყოს პროგრამის გარე ექსპერტიზაში დარგის უცხოელი სპეციალისტებისა და ექსპერტების ჩართვა. აღნიშნული პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება შეიმუშავოს ევროპულ ან/და საერთაშორისო საგანმანთლებლო და შრომის ბაზრის სივრცესთან მისადაგებული პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების როგორც დასაქმებას ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე, ისე სასწავლო და კვლევითი მობილობის შეუფერხებელ განხორციელებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, სასწავლო და კვლევითი პროცესის შეფასება სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. ამ მიზნით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შიდასაუნივერსიტეტო რეგულაცია - „მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა-ME-QA“, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA, რომელთა საფუძველზეც ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების წარმოების გზით დაწესებულება ნერგავს და ახორციელებს ანგარიშვალდებულებათა სისტემას როგორც კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების, ისე ზოგად, საუნივერსიტეტო სერვისების მიმწოდებელ პერსონალთან მიმართებით. მართალია მასობრივი კომუნიკაციის წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ამ კურიკულუმით და ფორმით ახალია, მაგრამ მისი განხორციელების ტრადიცია უნივერსიტეტს აქვს ჯერ კიდევ 1991 წლიდან, ხოლო 2011 წლიდან დღემდე პროგრამა არსებობას განაგრძობდა „სოციალური მეცნიერებები“-ს საბაკალავრო პროგრამის ქუდქვეშ ერთ-ერთი მოდულის სახით. უნივერსიტეტში ამ მიმართულების/დარგის პროგრამის განხორციელების დაგროვილმა გამოცდილებამ მეტწილად საშუალება მისცა აკრედიტაციის ჯგუფს დაკვირვება მოეხდინა პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებსა და საშუალებებზე. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართა ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების, პროგრამის ხელმძღვანელის, გარე შემფასებლის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უშუალო ჩართულობით. პროგრამის შეფასებისა და განახლების პროცესი უნივერსიტეტში განხორციელდა რამდენიმე მიმართულებით შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით. სახელდობრ, წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში:

1. ჩატარდა დაინტერესებული პირების (სტუდენტი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი) გამოკითხვა და გაანალიზდა გამოკითხვის შედეგები. აწსუ-ში გამოკითხვები ხორციელდება სხვადასხვა პერიოდულობით, კერძოდ, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის - ყოველსემესტრულად, ხოლო დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების - ორ წელიწადში ერთხელ. გამოკითხვის შედეგებს ანალიზებს და შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. შედეგები ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის. გამოკითხვებით მიღებული შეფასება პროგრამის განახლებისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

2. განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, რაც პროგრამის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ის ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ისეთი მონაცემების შეგროვებას როგორიცაა: ჩატარებული გამოცდების რაოდენობა, გამოცდებზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობა, მიღებული დადებითი და უარყოფითი შეფასებების მაჩვენებელი, იმ სასწავლო კურსების დადგენა, სადაც ფიქსირდება უმაღლესი შეფასებების (A და B), ან დაბალი შეფასებების (E და D) მაღალი პროცენტული მაჩვენებელი და მიზეზების დადგენა, და ა.შ. ხდება მონაცემების შედარება წინა სემესტრების მაჩვენებლებთან, რათა დინამიკაში დანახულ იქნას ჰქონდა თუ არა აკადემიური მოსწრების რადიკალურ ცვლილებას ადგილი. წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია 2016-2021 წლის ჩათვლით განხორციელებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი.

3. შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;

4. შემუშავდა დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა ანალიზი. წარმოდგენილ დოკუმენტში იკვეთება პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული ცოდნისა და უნარების დეფიციტი. აღნიშნული მიმართულებით პროგრამის კურიკულუმში განხორციელდა რიგი ცვლილებები.

5. განხორციელდა კოლეგიალური ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი და სააუდიტორიო მუშაობის შეფასება, რაც დანერგილია 2017 წლიდან და მიზნად

ისახავ საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისას.

6. მოეწყო პროგრამის საჯარო განხილვა როგორც დარგის უცხოელი, ისე ადგილობრივი წარმომადგენლების ჩართულობით. კერძოდ, 2020 წლის 23 თებერვალს აშშ-ს საელჩოს ინიციატივით ჟურნალისტიკის მიმართულებას ეწვია ჩიკაგოს, ლოიოლას და დეპოლის უნივერსიტეტების მედია ექსპერტები რიშელ როჯერსი და დენიზ მეტსონი. შეხვედრის ფარგლებში განხორციელდა მასობრივი კომუნიკაციის ახალი პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.
7. პროგრამამ გაიარა გარე კოლეგიალური შეფასება, რის საფუძველზეც განხორცილდა მისი მოდიფიცირება მიღებული რეკომენდაციების ნაწილთან მიმართებით.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს პროგრამის აკადემიური გუნდისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების წარმატებული მცდელობა და გაწეული სამუშაოები/ღონისძიებები პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის, შეფასებისა თუ მონიტორინგის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რჩება რიგი საკითხები თუ პროცესები, რომლებიც საჭიროებენ უფრო სიღრმისეულ შესწავლასა და დახვეწას. კერძოდ:
სააკრედიტაციო პაკეტის დანართ 7-ში წარმოდგენილი შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევის დოკუმენტი, ვფიქრობთ, საჭიროებს უფრო მეტ დეტალიზაციას. კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში არ ჩანს შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია.
ასევე, შემდგომ გადახედვასა და დახვეწას საჭიროებს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. მაგ. პროგრამის კურიკულუმის რუკაში მეექვსე სწავლის შედეგზე (ქმნის, პოსტპროდუქციას მარკეტინგული გათვლებით, „ფუთავს“ და ავრცელებს, სხვადასხვა ტიპის მედიაკონტენტს) გადის 7 სასწავლო კურსი, მათ შორის, გაცნობის დონეზე - 1 სასწავლო კურსი; გაღრმავების დონეზე - 1 სასწავლო კურსი; განმტკიცების დონეზე - 5 სასწავლო კურსი. გაცნობისა და გაღრმავების დონეზე მხოლოდ ერთი სასწავლო კურსით გასვლა, ვფიქრობთ არ არის საკმარისი, ხოლო ამის საპირისპიროდ განმტკიცებისთვის განკუთვნილი 5 კურსი ძალიან ბევრია.
ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ გარკვეულწილად არაეფექტური შეიძლება იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში შეფასების პირდაპირ მეთოდად სავალდებულო სასწავლო კურსებში არსებული უკლებლივ ყველა დავალების გამოყენება (რეფერატი, საშინაო დავალება, პრეზენტაცია, ესსე, პროექტი, ტესტები, შუალედური და დასკვნითი გამოცდები და ა.შ.). უმჯობესია ცალკეული სწავლის შედეგის შესაფასებლად შერჩეულ იქნას სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსიდან/კურსებიდან ერთი შეფასების ფორმა. აღნიშნული გაამარტივებს სწავლის შეფასების პროცესს და დაეხმარება პროგრამის გუნდს შეფასების რელევანტური ფორმების განსაზღვრაშიც.
პროგრამის მონიტორინგის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უმნიშვნელოვანესია პროგრამის ანალოგ პროგრამებთან შედარება. აღნიშნული დოკუმენტი გამოთხოვილი იქნა ვიზიტის დროს, მაგრამ დაწესებულებას არ

წარმოუდგენია. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების დოკუმენტში, პროგრამის ანალოგების კონტექსტში ნახსენებია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) და სხვ.) და საზღვარგარეთის, კერძოდ, აშშ-ის წამყვანი რამდენიმე უნივერსიტეტის (University of De Paul, Loyola University, Columbia University, Northeastern Univerity, Illinois state university) უახლესი მიღწევებითა და გამოცდილებით სარგებლობა. თუმცა, არ არის დაკონკრეტებული თუ ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლის ან/და გათვალისწინების შემდგომ თუ რა ცვლილებები განიცადა/არ განიცადა პროგრამამ ან რა მსგავსება და განსხვავებაა პროგრამის კურიკულუმებს, მიზნებსა და შედეგებს შორის და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ სტანდარტის 5.3. კომპონენტის სავალდებულო მოთხოვნაა პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მეტი ეფექტიანობისთვის პროგრამის სამუშაო გუნდმა გააქტიუროს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით. დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენილი საგანმანთლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა მეტწილად გამართულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA; • მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 4); • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი 12); • სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევის დოკუმენტის უფრო მეტად დეტალიზაცია; • რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დახვეწა და დაკონკრეტება; • რეკომენდებულია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ (სურვილის შემთხვევაში ქართულ) საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს
სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან **პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მასობრივი კომუნიკაცია

საფეხური:ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 240311 საფუძველზე (გამოიცა 09.03.2022 წელს),აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა-შემდეგი შემადგენლობით: თინა ცომაია (თავმჯდომარე); ნინო დანელია (წევრი), ქრისტინე ჩიხლაძე (წევრი), ანა მჭედლიშვილი (წევრი), შეაფასა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დასკვნითი პროექტი, რაზეც პასუხად მიიღო საგანმანათლებლო დაწესებულებიდან არგუმენტირებულ პოზიცია და თანმხლები დოკუმენტაცია. სამწუხაროდ, ვიზიტის შემდგომ შექმნილ დოკუმენტაციას ექსპერტთა ჯგუფი მხედველობაში ვერ მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაეთანხმა დასკვნის პროექტში ჩვენს მიერ გაცემულ რეკომენდაციების ნაწილს, ხოლო რამდენიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი დააფიქსირა თავისი პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის ამგვარ დამოკიდებულებას მიგნებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა არგუმენტირებული პოზიციის მესამე სტანდარტს და რეკომენდაცია რჩევით შეცვალა. ასევე, გაითვალისწინა უნივერსიტეტის პოზიცია, საბაკალავრო ნაშრომის მომავალში, პროგრამის განვითარების პარალელურად შემოტანის მიზანშეწონილობაზე და რეკომენდაცია რჩევით შეცვალა.

ექსპერტთა ჯგუფი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში პროგრამა კიდევ უფრო მეტად დაიხვეწება. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას მოახსენებს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაწეული შრომისათვის და უსურვებს ყოველივე საუკეთესოს.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა
თინა ცომაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის სახელი, გვარი, ხელმოწერა
ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო დანელია

სახელი, გვარი, ხელმოწერა სახელი,
ანა მჭედლიშვილი